

აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

2019 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	898209	770904	751243	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	375092	341459	329172	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	55572	49769	51571	
მარაგები	48983	45117	49302	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	43677	40010	43438	
- სხვა მარაგი	5306	5107	5864	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	16468	5693	392	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	30952	34204	30589	
ძირითადი საშუალებები	531509	494944	546135	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	7730	7730	8630	3.4
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1964515	1749820	1767034	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	30637	24591	21995	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	240744	158854	187355	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	88408	55088	78181	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	103767	121094	101052	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	72098	67598	63098	3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	138480			
სულ ვალდებულებები	674134	427225	451681	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50000	50000	50000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1221950	1253717	1245777	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი	18431	18878	19576	3.7
სულ საკუთარი კაპიტალი	1290381	1322595	1315353	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1964515	1749820	1767034	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.02.2021 წ.				
დირექტორი _____	გიორგი ცერცვაძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2019	2018	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	3105997	2799524	3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	159347	190047	
- მომსახურების გაწევიდან	2944147	2607077	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები	2503	2400	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-78845	-82249	
- საწყისი მარაგები	-41560	-47456	
- მარაგების შესყიდვა	-20209	-15245	
- გადამუშავების დანახარჯები	-62370	-61107	
- საბოლოო მარაგები	45294	41559	
საერთო მოგება	3027152	2717275	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	400	4400	3.9
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2225478	-2055121	
ცვეთა და ამორტიზაცია	-52403	-60740	
საპროცენტო შემოსავალი	27613	24593	3.10
საპროცენტო ხარჯი	-4500	-4500	
იჯარის ხარჯი	-87925	-73200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-312612	-250888	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2654905	-2415456	
საოპერაციო მოგება	372247	301819	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება	-10	-6249	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების	-10	-6249	
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	15420	7319	
მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები		10278	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	936	4757	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	388593	317924	
მოგების გადასახადის ხარჯი	-60207	-10682	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	328386	307242	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	328386	307242	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1322595	1315353	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-360600	-300000	3.11
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1290381	1322595	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.02.2021 წ.			
დირექტორი _____	გიორგი ცერცვაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	378089	278202
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-56057	19317
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-211014	-285000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	111018	12519
სავალუტო კურსის ეფექტი	16287	7142
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	770904	751243
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	898209	770904
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.02.2021 წ.		
დირექტორი _____	გიორგი ცერცვაძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ (შემდგომში – კონცერნი ან ჯგუფი) წარმოადგენს ჯგუფს, რომლის მშობელი საწარმოა შპს „ცოდნისა“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მშობელი საწარმო - შპს „ცოდნისა“ დარეგისტრირებულია 1997 წლის 8 ივლისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს N 5ა/4-1253 დადგენილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211344188, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 41, IV სართული.

1.2. კონცერნის პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:
გიორგი ცერცვაძე - 70%; მაია ცერცვაძე - 10%; ნინო კალანდია - 10%; ფრიდონ ალშიბაია - 10%.

1.3. ჯგუფის მშობელი საწარმოს დირექტორები არიან გიორგი ცერცვაძე და ფრიდონ ალშიბაია, რომელთაგან თითოეულს აქვს საწარმოს ერთპიროვნული გაძღოლის უფლებამოსილება.

1.4. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა აუდიტორული საქმიანობა, რაც მოიცავს როგორც აუდიტს, ასევე ბუღალტრულ და საკონსულტაციო მომსახურებას. მშობელი საწარმო რეგისტრირებულია აუდიტური ფირმების სახელმწიფო რეესტრში, რეგისტრაციის N SARAS-F-281025.

1.5. ჯგუფი შედგება მშობელი საწარმოსა (შპს „ცოდნისა“, ს/კ 211344188) და მისი შვილობილი საწარმოებისაგან:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“ (ს/კ 211390074), რომლის კაპიტალში შპს „ცოდნისა“-ს წილი შეადგენს 85%-ს;

შპს „ააფ ინტეგრირი“ (ს/კ 204998770), რომლის კაპიტალში პირდაპირი წილი შეადგენს 60%-ს, ხოლო დანარჩენი 40% ეკუთვნის შპს „ააფ-მენეჯმენტს“;

შპს „იბერ-ინფო“ (ს/კ 211349799), რომლის კაპიტალში წილი შეადგენს 75%-ს;

შპს „იმერ-ინფო“ (ს/კ 412679221), რომლის კაპიტალში წილი შეადგენს 70%-ს;

შპს „სოფტ-ინფო“ (ს/კ 205027344), რომლის კაპიტალში 100% წილი ეკუთვნის შპს „აფ-მენეჯმენტს“ (2018 წლის 21 დეკემბრამდე - ეკუთვნოდა უშუალოდ შპს „ცოდნისა“-ს);

შპს „აფ-კაპიტალი“ (ს/კ 404908597), რომლის კაპიტალში 56% წილი ეკუთვნის შპს „იბერ-ინფოს“, ხოლო 14% - შპს „აფ-მენეჯმენტს“.

ამ შვილობილი საწარმოებიდან, შპს „აფ ინტეგრირი“ ეწევა იგივე ეკონომიკურ საქმიანობას, რასაც შპს „ცოდნისა“. ის რეგისტრირებულია აუდიტური ფირმების სახელმწიფო რეესტრში, რეგისტრაციის N SARAS-F-405844.

სხვა საწარმოების ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია: საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება და რეალიზაცია; პროგრამული მომსახურება; ჟურნალების - „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“ გამოცემა და გავრცელება; „სატელეფონო ცხელი ხაზის“ საკონსულტაციო მომსახურება; განახლებადი ელექტრონული საკანონმდებლო-საკონსულტაციო ბაზის „აფ-ინფო კონსულტანტის“ გავრცელება; სასწავლო ტრენინგების ჩატარება.

არამაკონტროლებელი წილები, რაც არის შპს „იბერ-ინფოში“ (25%), შპს „იმერ-ინფოში“ (30%) და შპს „აფ-კაპიტალში“ (30%), ეკუთვნით საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს. მათ შორის, შპს „იბერ-ინფოში“ წილის 15%-ს ფლობს კონცერნის ერთ-ერთი პარტნიორი - მაია ცერცვაძე.

1.6. ჯგუფს ჰყავს მეკავშირე საწარმო:

შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაცია“ (ს/კ 404896163), რომლის კაპიტალში წილი შეადგენს 49%-ს. ამ საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა იურიდიული მომსახურება.

გარდა ამისა, მშობელი საწარმო ფლობდა 30% წილს ერთ-ერთ სხვა შპს-ში, რომელიც ეწეოდა საბუღალტრო და საგადასახადო კონსალტინგს. ეს წილი გაიყიდა 2018 წლის 21 დეკემბერს.

ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „სოფტ-ინფოს“ განხორციელებული აქვს ფულადი ინვესტიცია შპს „აბსცისა“-ში (ს/კ 404928673), რომლის საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება და რეალიზაცია.

1.7. ჯგუფს აქვს მუდმივმოქმედი რეგიონული ფილიალები: ბათუმში, ქუთაისში და თელავში.

1.8. ჯგუფის მშობელი საწარმო - შპს „ცოდნისა“ არის პროფესიული ორგანიზაციის - „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ კორპორატიული წევრი. შვილობილი საწარმო - შპს „აფ ინტეგრითი“ არის საერთაშორისო ასოციაციის „Integra International“-ის წევრი.

1.9. 2019 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 105 კაცს (მათ შორის, მშობელ საწარმოში - 69 კაცს).

1.10. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კონცერნის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კონცერნი წარმოადგენს მესამე კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კონცერნს არ ევალება წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.

შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განაკვეთი განისაზღვრება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების ცვეთისათვის/ამორტიზაციისათვის გამოიყენება ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ამორტიზებადი აქტივის გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ამორტიზებადი აქტივის გასვლა, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 4%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 12,5-20%;
მანქანა-დანადგარები	- 8-10%;
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	- 25%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20-50%;

დ) იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფში შემავალი საწარმოების დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა რამდენიმე შესაძლო გამონაკლისი შემთხვევისა, რომლებსაც ჯგუფის შემთხვევაში ადგილი არ აქვთ).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2019 წელს შეადგენდა:

1 USD=2.7789 ლარი; 1 EUR=3.1226 ლარი.

3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	12393	18249	10223
ლარი საბანკო ანგარიშებზე	572140	461576	466199
ლარი მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებზე	68816	64876	61123
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	11878	15230	14754
ევრო საბანკო ანგარიშებზე	1445	1383	1986
რუსული რუბლი საბანკო ანგარიშებზე	200	27	9
აშშ დოლარი მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებზე	231337	209563	196949
სულ:	898209	770904	751243

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
პროგრამა „ინფო ბუღალტერის“ კომპლექტაცია	36463	31345	30615
წიგნები	6108	8130	12718
ჟურნალები	1671	580	2719
საწვავ-საცხები მასალები	4581	4870	2916
სხვა მარაგი	160	192	334
სულ:	48983	45117	49302

2018-2019 წლებში მოხდა სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაწილის (ძირითადად, გასაყიდი საბუღალტრო პროგრამების ძველი ვერსიების) ჩამოფასება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯმა შეადგინა:

2018 წელს - (6249) ლარი;

2019 წელს - (10) ლარი.

3.3. ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
შენობა- ნაგებობები	417159	0	30051	447210	636	30182	476756
ავტო სატრანსპორტო საშუალებები	81563	75629	7401	13335	1385	11278	23228
სხვა ძირითადი საშუალებები	32788	10090	11701	34399	5192	16944	46151
სულ:	531509	85719	49153	494944	7213	58404	546135

2018 წელს, გაიყიდა 1 ძირითადი საშუალება (მსუბუქი ავტომანქანა), რომელიც სრულად იყო ამორტიზებული.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 1212887 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 1127169 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 681378 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 632225 ლარი.

3.4. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
30% წილი შპს „აუდიტ-არტში“	0	0	900
49% წილი შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციაში“	980	980	980
ინვესტიცია შპს „აბსცისაში“	6750	6750	6750
სულ:	7730	7730	8630

მეკავშირე საწარმო შპს „აუდიტ-არტში“ 30%-იანი წილი სრულად გასხვისდა 2018 წლის დეკემბერში.

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასები	224272	156466	185104
სავალდებულო საპენსიო შენატანები	15740	0	0
ა/მ იჯარა თანამშრომლებისაგან	679	2164	2150
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	53	224	101
სულ:	240744	158854	187355

3.6. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
შპს „იბერ-ინფოს“ სასესხო ვალდებულება დამფუძნებელი ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	37500	37500	37500
შპს „იბერ-ინფოს“ სასესხო ვალდებულება დამფუძნებელი ფიზიკური პირის მიმართ (პროცენტი)	34598	30098	25598
სულ:	72098	67598	63098

ჯგუფში შემავალმა შვილობილმა საწარმომ დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან აიღო სესხი 37500 ლარის ოდენობით, 2013 წლის 1 აპრილს სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. ეს თანხა განთავსდა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე და დღემდე რჩება ამ ანგარიშზე როგორც სარჩელის უზრუნველყოფა. სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი განიხილება მოკლევადიან ვალდებულებად, რადგან გამსესხებელ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მსესხებლისაგან თანხის სრულად დაბრუნება.

3.7. არამაკონტროლებელი წილი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
არამაკონტროლებელი წილი 25% შპს „იმერ-ინფოს“ საკუთარ კაპიტალში	12601	13396	13942
არამაკონტროლებელი წილი 30% შპს „იმერ-ინფოს“ საკუთარ კაპიტალში	6703	6235	5891
არამაკონტროლებელი წილი 30% შპს „ააფ-კაპიტალის“ საკუთარ კაპიტალში	-873	-753	-257
სულ:	18431	18878	19576

3.8. ამონაგები:

	2019 წელი	2018 წელი
ამონაგები აუდიტორული საქმიანობიდან	323022	298190
ამონაგები ბუღალტრული, საკონსულტაციო და სხვა ანალოგიური მომსახურებიდან	2433867	2180822
„ინფო ბუღალტერის“ გაყიდვები და მომსახურება	212504	174453
ჟურნალების გაყიდვა	70686	89557
წიგნების გაყიდვა	2885	3450
იურიდიული მომსახურება	1647	3243
„სატელეფონო ცხელი ხაზის“ საკონსულტაციო მომსახურება	7320	8100
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	2546	1260
„ააფ-ინფო კონსულტანტის“ გაყიდვები	17141	20439
სასწავლო სემინარები და ლექციები	42164	40447
მაკულატურის რეალიზაცია	103	
ქონების იჯარა მეკავშირე საწარმოზე	2400	2400
სულ:	3116285	2822361

3.9. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

	2019 წელი	2018 წელი
გამომცემლობა EDITIONS GALLIMARD-ისაგან მიღებული დაფინანსების თანხა წიგნის დაბეჭდვისთვის		3312
მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვიდან ნეტო-შედეგი		600
შვილობილი და მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული ერთჯერადი საკომპენსაციო გადახდები	400	488
სულ:	400	4400

3.10. საპროცენტო შემოსავალი

ჯგუფის საპროცენტო შემოსავალი 2018 წელს - 24593 ლარი და 2019 წელს - 27613 ლარი მთლიანად შედგებოდა შპს „ცოდნის“-ს, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ და შპს „ააფ ინტეგრირების“ მიერ რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ ანაზღაურებზე და დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.11. განაწილებული დივიდენდები

როგორც 2018, ასევე 2019 წელს ჯგუფის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება გასულ წლებში მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ, მათ შორის, მშობელი საწარმოდან 2018 წელს განაწილდა 300000 ლარი, ხოლო 2019 წელს - 360600 ლარი. ორივე წელს, განაწილებას დაექვემდებარა ჯერ კიდევ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების დარჩენილი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი (ასევე, მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაზრებიდან და დეპოზიტებიდან), რის გამოც, საქართველოში მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ თავისებურებებიდან გამომდინარე, გაცემული დივიდენდების დაბეგვრისას მოხდა გასულ წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ნაწილობრივი ჩათვლა.

3.12. სასამართლო დავები

2018-2019 წლებში, ჯგუფში შემავალი საწარმოების წინააღმდეგ სასამართლო დავებს ადგილი არ ჰქონია. ჯგუფის მშობელი საწარმო თავად უჩივის რამდენიმე ვადაგადაცილებულ დებიტორს თანხის გადაუხდელობის გამო, თუმცა სადავო თანხები ჯგუფის საქმიანობის მასშტაბთან შედარებით მცირეა. რამდენიმე დავა წარმატებით დასრულდა 2020 წელს.

ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი საწარმო - შპს „იბერ-ინფო“ 2012 წლიდან უჩივის სხვა კომპანიას მისი საავტორო უფლებების დარღვევისა და სასაქონლო ნიშნების უნებართვოდ გამოყენების გამო. დავა ეხება საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს დავა დასრულებული არ არის.

3.13. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კონცერნის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 თებერვალს.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

- 2020 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 2 თვე. 2020 წლის ნოემბერში, დაწესდა რიგი

შეზღუდვები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია. სასწავლო ცენტრი შპს „ააფ-კაპიტალი“ გადავიდა ონლაინ-ტრენინგების ჩატარებაზე.

- 2020 წლის იანვარში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურმა დაასრულა ჯგუფის მშობელი საწარმოს - შპს „ცოდნისა“-ს განმეორებითი (პირველი ჩატარდა 2017 წელს) ხარისხის კონტროლის მონიტორინგი და კვლავ მიანიჭა მას მესამე ხარისხის კატეგორია.

- 2020 წლის ივლისში, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასრულა შპს „იბერ-ინფოს“ მიერ 2012 წელს დაწყებული სასამართლო დავის განხილვა და მიაკუთვნა მას გამარჯვება პრაქტიკულად ყველა ასპექტში. მოწინააღმდეგე მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც მათი საჩივრის განხილვა დაიწყო 2021 წლის 17 თებერვალს.

- 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	898209	770904	751243	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	375092	341459	329172	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	55572	49769	51571	
მარაგები	48983	45117	49302	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	43677	40010	43438	
- სხვა მარაგი	5306	5107	5864	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	16468	5693	392	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	30952	34204	30589	
ძირითადი საშუალებები	531509	494944	546135	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	7730	7730	8630	3.4
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1964515	1749820	1767034	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	30637	24591	21995	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	240744	158854	187355	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	88408	55088	78181	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	103767	121094	101052	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	72098	67598	63098	3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	138480			
სულ ვალდებულებები	674134	427225	451681	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50000	50000	50000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1221950	1253717	1245777	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი	18431	18878	19576	3.7
სულ საკუთარი კაპიტალი	1290381	1322595	1315353	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1964515	1749820	1767034	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.02.2021 წ.

დირექტორი _____ გიორგი ცერცვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით ნაწილი.



საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	3105997	2799524	3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	159347	190047	
- მომსახურების გაწევიდან	2944147	2607077	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები	2503	2400	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-78845	-82249	3.9
- საწყისი მარაგები	-41560	-47456	
- მარაგების შესყიდვა	-20209	-15245	
- გადამუშავების დანახარჯები	-62370	-61107	
- საბოლოო მარაგები	45294	41559	
საერთო მოგება	3027152	2717275	3.10
სხვა საოპერაციო შემოსავალი	400	4400	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2225478	-2055121	
ცვეთა და ამორტიზაცია	-52403	-60740	
საპროცენტო შემოსავალი	27613	24593	
საპროცენტო ხარჯი	-4500	-4500	3.11
იჯარის ხარჯი	-87925	-73200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-312612	-250888	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2654905	-2415456	
საოპერაციო მოგება	372247	301819	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება	-10	-6249	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების	-10	-6249	
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	15420	7319	
შეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები		10278	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	936	4757	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	388593	317924	
მოგების გადასახადის ხარჯი	-60207	-10682	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	328386	307242	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	328386	307242	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1322595	1315353	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-360600	-300000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1290381	1322595	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 28.02.2021 წ.

დირექტორი

გიორგი ცერცვაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	378089	278202
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-56057	19317
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-211014	-285000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	111018	12519
სავალუტო კურსის ეფექტი	16287	7142
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	770904	751243
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	898209	770904

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 28.02.2021 წ.

დირექტორი _____



გიორგი გერდვაძე



თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.